ხელშეკრულება№ 02-38
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი

„17“ „იანვარი“ 2013წ.

შპს *„მაგთიკომი“*, შემდგომში მოხსენიებული როგორც „მიმწოდებელი“, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, ერთის მხრივ და სსიპ იუსტიციის სახლი, შემდგომში მოხსენიებული, როგორც *„შემსყიდველი“*, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორი ნინო ჩიჩუას სახით მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის №1805 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით *მიმწოდებელი* უზრუნველყოფს *შემსყიდველის*სტრუქტურების ქსელში ჩართვას და სხვა თანმდევი მომსახურებების გაწევას (CPV-72400000). მომსახურებების დასახელება და აღწერა (არხების რაოდენობა და მომსახურების სახეები) მითითებულია დანართ №1-ში.
1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში მიმწოდებელი უზრუნველყოფს *შემსყიდველის* მიერ მითითებულ და წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში მოცემულ *შემსყიდველის* სტრუქტურების ტერიტორიაზე საჭირო აპარატურის მონტაჟს.
1.3 *შემსყიდველი* უზრუნველყოფს მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობისათვის ფართის გამოყოფას, წერტილების მონტაჟის ადგილებზე უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჭირო ნებართვის გაცემას.
1.4 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ მიწოდებული და მის მიერ *შემსყიდველის* ტერიტორიაზე დამონტაჟებული, თუ შემსყიდველისათვის გადაცემული აღჭურვილობა წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას. ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული აპარატურა უბრუნდება მიმწოდებელს.
1.5 ხელშეკრულების1.4 მუხლიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის აღჭურვილობა, რომელიც მიმწოდებელს გადაეცემა *შემსყიდველის* მიერ ქსელის მშენებლობისათვის.
1.6 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტრუქტურების მიხედვით, არსებული წერტილების ადგილმდებარეობები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში.

2. მხარეთა უფლება-ვალდებულებანი

2.1 *შემსყიდველი*ვალდებულია:
2.1.1 საკუთარი და/ან მასთან გათანაბრებული ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს I მუხლში აღნიშნული კავშირის ინტერფეისი მიმწოდებლის აღჭურვილობასთან, სადაც განლაგებულია აპარატურა. თუ ამ დროს ან შემდგომში დადგინდა, რომ *შემსყიდველის* მიზეზით დაზიანდა მიმწოდებლის აპარატურა, *შემსყიდველი*ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელსმიყენებული ზიანი.
2.1.2 არხით სარგებლობისას და მოწყობილობების განთავსებისას მკაცრად დაიცვას მწარმოებლის მიერ დადგენილი აღჭურვილობის ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმები, რომელიც *შემსყიდველს* გადაეცემა მიმწოდებლის მიერ აღჭურვილობის დამონტაჟების დროს, თუ მხარეები ხელშეკრულების ამ პუნქტისაგან განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდნენ.
2.1.3 ხელი შეუწყოს და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს მიმწოდებელს ქსელის მშენებლობის პროცესში.
2.1.4 განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გადაცემული აპარატურის მოვლა და დაცვა.
2.1.5 წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინოს მიმწოდებლის კონკრეტული წერტილის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ.
2.1.6 დროულად აწარმოოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან.

2.1.7 გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლო არ გადახდილი თანხის 0,1%-ის ოდენობით.
2.1.8 ნებისმიერ დროს დაუშვას და მისცეს საშუალება მიმწოდებლის უფლებამოსილ თანამშრომლებს განახორციელონ *შემსყიდველის* წერტილებზე დამონტაჟებული აპარატურის გეგმიური პროფილაქტიკური რემონტი თუ სხვა სამუშაოები.
2.2 მიმწოდებელი ვალდებულია:
2.2.1 უზრუნველყოს თავისი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და დროულად აღმოფხვრას შეფერხებები;
2.2.2 გადასცეს *შემსყიდველს* კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო აპარატურა.
2.2.3 უზრუნველყოს დანართში ჩამოთვლილი მომსახურებებით უზრუნველყოფაუზრუნველყოფა 2012 წლის 1ოქტომბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ასევე არხების მიმართულებებით *შემსყიდველის* სტრუქტურებს შორის კავშირი და მისცეს საშუალება *შემსყიდველს* უზრუნველყოს მიმწოდებლისაღჭურვილობის ინტერფეისი საკუთარ მოწყობილობებთან.
2.2.4 აპარატურისა და მოწყობილობების შემსყიდველთან განთავსებისას გაითვალისწინოს განთავსების ადგილისა და პირობების შესაბამისობა მათი მწარმოებლის მიერ დადგენილ ექსპლუატაციის ტექნიკურ ნორმებთან;
უზრუნველყოს არხების შესაბამისობა ტექნიკურ ნორმებთან და პარამეტრებთან ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.
2.2.5 წერტილების ჩართვა განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წერტილების ჩართვის გრაფიკის შესაბამისად. ხოლო ყოველი დამატებითი წერტილის ჩართვა განხორციელდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებით.
2.2.6 ქსელის ფუნქციონირების/კავშირის შეწყვეტის ვადა აითვლება ხელშეკრულების დანართი №3–ით დადგენილი წესით მისი დაფიქსირების მომენტიდან.
2.2.7 2.1.5 პუნქტის მიხედვით მიღებული შეტყობინების საფუძველზე მოახდინოს კონკრეტული წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი *შემსყიდველის* მიერ მითითებულ ადგილას დანართ №2-ში მითიებული ტარიფის შესაბამისად.
2.2.8 წინასწარ, ერთი დღით ადრე შეატყობინოს *შემსყიდველს* ქსელზე ტექნიკური ან რაიმე სხვა სახის სამუშაოს ჩატარების შესახებ.
2.2.9 დაიცვას კონფიდენციალურობა აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდში.
2.2.10 აწარმოოს ქსელის მუდმივი მონიტორინგი პრობლემების წინასწარ გამოვლენის და ქსელის და აპარატურის გამართული ფუნქციონირების მიზნით და უზრუნველყოს მონიტორინგის სისტემაში *შემსყიდველის* წვდომა მისთვის განკუთვნილი უფლებებით.
2.2.11 მიმწოდებელი ვალდებულია ქსელის ან ტექნიკური მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში გამომწვევი მიზეზებისა და მხარეთა ბრალეულობის გარკვევამდე საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას გაუმართავობა.
2.3 მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს ან/და გადაავადოს *შემსყიდველის* წერტილზე აპარატურის მონტაჟი და მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ წერტილზე ტექნიკურად შეუძლებელია კავშირის უზრუნველყოფა, მათ შორის ტექნოლოგიური, ტექნიკური ან სხვა კუთხით.
2.4 *შემსყიდველის* თანამშრომლებს არ აქვთ უფლება შეცვალონ ან სხვაგვარად მოახდინონ პარამეტრების მოდიფიცირება *მიმწოდებლის* აღჭურვილობაზე წინასწარი შეტყობინების და ამ უკანასკნელის წარმომადგენელების თანდასწრების გარეშე.

3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის

3.1 წინამდებარე ხელშეკრულები განსაზღვრული მომსახურების სავარაუდო საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს 12681.24 (თორმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაერთი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
3.2 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული მომსახურებების უზრუნველოყოფის დეტალური საფასური თვეში განისაზღვრება დანართ №2-ში მოცემული განფასებებით ლარებში, დღგ-ს ჩათვლით.
3.3 მომსახურების ყოველი სახის მიწოდებისას მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
3.4 მომსახურების უზრუნველყოფის საფასურს, დანართებში მითითებული მიმართულებების და ფასების მიხედვით, *შემსყიდველი*გადაუხდის *მიმწოდებელს*, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღეში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 25 იანვრის ჩათვლით.
4.2 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად მოშალონ ეს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე სისტემატურად (არაერთხელ) არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულების მოშლას, 1 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ და შესაძლო ზარალზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, გარდა განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისა.
5.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. ასეთ შემთხვევაში მხარეები სამი დღის ვადაში აცნობებენ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს. რის შემდეგაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით.

6. დავის გადაწყვეტა

სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 ამ ხელშეკრულების პირობები კონფიდენციალურია მესამე პირთათვის, ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.
7.2 მომსახურების სახეების, ისევე, როგორც არხების და წერტილების რაოდენობის და მათი მიმართულებების და ვადების ცვლილება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, ამ შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შედის ხელშეკრულების დანართში. აღნიშნულ შემთხვევაში, *შემსყიდველი* წერილობით ატყობინებს მიმწოდებელს და აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის მიმწოდებლის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ.
7.3 ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, რომელთაგან ერთი გადაეცემა *შემსყიდველს*, ერთი – შემსრულებელს. ორივე პირს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

8. მხარეები

სსიპ იუსტიციის სახლი
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორი
ნინო ჩიჩუას სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № GE15BG0000000291279900,
საქართველოს ბანკი, კოდი: BAGAGE22,
სკ - 204580202

შპს „მაგთიკომი“
წარმოდგენილიგენერალური დირექტორის
მოადგილის **გია კოშორიძის**სახით,
მისამართი:ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.№5,
ტელეფონი:217 13 17,
საბანკორეკვიზიტები:ანგ. №GE73VT6600000000423607,
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“,კოდი:UGEBGE22,
ს/კ–204876606

დანართი 1

შპს მაგთიკომსა და სსიპ იუსტიციის სახლის შორის 2013 წლის 17 იანვრის ხელშეკრულებაზე

#	ქალაქი	მისამართი	მომსახურება	ადგილმდებარეობა	სიჩქარე
1	მესტია	კახიანის 38	IP კავშირი	სხვა დანარჩენი	512 კბ/წმ
2	ქუთაისი	აბაშიძის 20	IP კავშირი	მაგისტრალი	4 მბ/წმ

სსიპ იუსტიციის სახლი
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის
ნინო ჩიჩუა სახით,

შპს „მაგთიკომი“
წარმოდგენილიგენერალური დირექტორის
მოადგილის **გია კოშორიძისსახით**

დანართი 2

შპს მაგთიკომსა და სსიპ იუსტიციის სახლის შორის 2013 წლის 17 იანვრის ხელშეკრულებაზე

ვირტუალური ქსელის მომსახურების ტარიფები

№	შიდა ქსელის ტრაფიკის სიჩქარე	ყოველთვიური სააბონენტო ლარი დღგ-ს ჩათვლით (თბილისი)	ყოველთვიური სააბონენტო ლარი დღგ-ს ჩათვლით (მაგისტრალი)	ყოველთვიური სააბონენტო ლარი დღგ-ს ჩათვლით (სხვა დანარჩენი)
1	128 კბ/წმ	102.4	122.88	153.6
2	256 კბ/წმ	163.84	196.61	245.76
3	512 კბ/წმ	245.76	294.91	368.64
4	1 მბ/წმ	286.72	344.06	430.08
5	2 მბ/წმ	327.68	393.22	491.52
6	4 მბ/წმ	573,44	688,13	860,16

ინტერნეტის ტარიფები

№	ინტერნეტის სიჩქარე	ყოველთვიური სააბონენტო ლარი დღგ-ს ჩათვლით
1	128 კბ/წმ	100
2	256 კბ/წმ	200
3	512 კბ/წმ	400
4	1 მბ/წმ	750
5	2 მბ/წმ	1500

მხარდაჭერის სერვისის უზრუნველყოფა

VPN ქსელის მართვის სერვისის ყოველთვიური ღირებულება ერთი წერტილისთვის განისაზღვრება 20 ლარით, დღგ-ს ჩათვლით

წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი ახალ ადგილას	ტარიფი
ერთი წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი	500

სსიპ იუსტიციის სახლი
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის
ნინო ჩიჩუა სახით,

შპს „მაგთიკომი“
წარმოდგენილიგენერალური დირექტორის
მოადგილის **გია კოშორიძისსახით**

დანართი 3

შპს მაგთიკომსა და სსიპ იუსტიციის სახლის შორის 2013 წლის 17 იანვრის ხელშეკრულებაზე

ქსელის ფუნქციონირების/კავშირის შეწყვეტის ან ამ ქსელთან დაკავშირებული სხვა პრობლემების დაფიქსირების პროცედურა

მაგთიკომის მიერ შემსყიდველისათვისგაწეული მომსახურების ფარგლებში ნებისმიერი სახის ინციდენტის წარმოშობის შემთხვევაში, *შემსყიდველის* უფლებამოსილი წარმომადგენელი უკავშირდება მაგთიკომის შესაბამის საოპერატორო სამსახურს და აწვდის ინფორმაციას წარმოშობილი ინციდენტის შესახებ ტექნიკური მხარდაჭერის ცხელი ხაზის მეშვეობით შემდეგ ნომერზე:

832 2171317. მაგთიკომი თავის მხრივ, ინციდენტის არსებობის შემთხვევაში, უდასტურებს შემსყიდველს ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და არეგისტრირებს მას ინციდენტთა მართვის სისტემაში.

მაგთიკომის წარმომადგენელი უკავშირდება შემსყიდველს და/ან უგზავნის ელ. ფოსტის მისამართზე ინფორმაციას ინციდენტის სტატუსის შესახებ.

ცხელ ხაზზე შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელის დასარეგისტრირებლად *შემსყიდველი* ვალდებულია მაგთიკომს გამოუგზავნოს ოფიციალური წერილი, სადაც მითითებული იქნება უფლებამოსილი წარმომადგენელის სახელი, გვარი, ტელ. ნომერი, მობ. ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი საიდანაც შესაძლებელი იქნება ინციდენტის დაფიქსირება.

სსიპ იუსტიციის სახლი
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის
ნინო ჩიჩუა სახით,

შპს „მაგთიკომი"
წარმოდგენილიგენერალური დირექტორის
მოადგილის **გია კოშორიძის**სახით